ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3237359

ნომერი: AR1498473

თარიღი : 26.04.2017

გაცემის თარიღი : 03.05.2017

გაცნობის თარიღი : 03.05.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკ. წერეთელი , N 141ა , (ნაკვ.52/15) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა ჟვანია პ/ნ 01005025869
- თბილისი დიღმის მას. III კვ. კორ. 16 ბ. 52

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან სარეკონსტრუქციო ფართი ყვება მეტრო სადგურის შეზღუდვაში, საჭიროა წარმოდგენილ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სასახურის თანხმობა, აღნიშნულთან დაკავშირებით.
ასევე გაითვალისწინეთ:
თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის (კორპუსის) საერთო ხედის აღქმის და ამის საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ შორი მანძილიდან, სხვადასხვა ხედიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ერთიანი ფოტომასალა (და არა ფრაგმენტალური, როგორც ეს წარმოდგენილი გაქვთ), სადაც ნათლად გამოჩნდება მთლიანი შენობის ფასადი და ასევე მათზე დამუშავებული ფოტომონტაჟები ყველა გაბარიტული ზომის ჩვენებით.
ასევე წარმოსადგენია საკადასტრო გეგმა სარეკონსტრუქციო არეალის დატანით, და ამასთან გაითვალისწინეთ, თუ სარეკონსტრუქციო კიბის საფეხურები განთავსებულია საკადასტრო საზღვრებს გარეთ, წარმოდგენილ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით.
წარმოსადგენია არსებული ანაზომი და საპროექტო ესკიზური ნახაზები (გეგმა, ჭრილი) გაბარიტული ზომისა და ნიშნულის მითითებით.
ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით მშენებლობის განხორციელება, წარმოდგენილი ვიზუალური მხარე საჭიროებს უფრო მეტად დახვეწა–გადამუშავებას, მოსაპირკეთებელი მასალებისა და ფერის გადაწყვეტის ნაწილში, შესაბამისად საჭიროა ღიობებზე მეტალოპლასტმასის ნაცვლად გამოყენებული იქნას ალუმინის მოჩარჩოვება ან შესაძლებელია დამკვეთის მიერ შემოთავაზებული იქნას სხვა ალტერნატიული მასალა), ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა „ფოტომონტაჟი“–ს ველში ატვირთულ იქნას სხვადასხვა რაკურსიდან გადაღებული ფოტოსურათების საფუძველზე დამუშავებული რამოდენიმე ფოტომონტაჟი (დეტალურად გაბარიტული ზომების მითითებით).

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.